



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების
აკადემიური დატვირთვისა და საათობრივი ანაზღაურების განსაზღვრის წესი

Academic staff and visiting teachers Academic workload and hourly pay Determination rule

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის გურამ ქათამაძის, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის თემურ დევაძის და მთავარი ბუღალტერის სოფიკო მამულაძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის რექტორის მიერ (2019 წლის 11 აპრილის სენატის სხდომის ოქმი N9; ცვლილება შეტანილია გენერალური დირექტორის 2019 წლის 03 ოქტომბრის „პედაგოგთა ანაზღაურების შესახებ“ № 175 ბრძანების საფუძველზე);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა პროცედურა. ცვლილების შეტანის აუცილებლობა განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფისა და მართვის სამსახურის მიერ;
6. არსებული პროცედურა ძალას კარგავს ახალი პროცედურის (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
 ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების
 აკადემიური დატვირთვისა და საათობრივი ანაზღაურების განსაზღვრის წესი

Academic staff and visiting teachers Academic workload and hourly pay Determination rule

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. ნორმატიული მითითებები	5
3. ტერმინები, შემოკლებები, განმარტებები	5
4. ზოგადი დებულება	6
5. აკადემიურ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა	7
6. ბუსს ანრის აკადემიური პერსონალის დატვირთვა.....	7
7. სააუდიტორიო საათების ხანგრძლივობა და ანაზღაურების წესი	7
8. აკადემიური პერსონალის მიერ გაცდენილი საათების აღდგენისა და ანაზღაურების წესი	8
9. კონტროლი წესის შესრულებაზე	9
10. კონფიდენციალობა	9
11. პერიოდული შემოწმების ფურცელი	10
12. პერსონალის გაცნობის ფურცელი	11
13. შეთანხმების ფურცელი	12



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების
აკადემიური დატვირთვისა და საათობრივი ანაზღაურების განსაზღვრის წესი**

Academic staff and visiting teachers Academic workload and hourly pay Determination rule

1) გავრცელების სფერო

- 1) წინამდებარე წესი განსაზღვრავს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის (შემდეგში - ბუსსს ანრი) აკადემიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას და ანაზღაურების წესს.;
- 2) აღრიცხული ეგზემპლიარები ინახება:
 - შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც მყარი, ასევე ელ.ვერსია);
 - ხელმისაწვდომია ყველა განყოფილებისთვის შიდა ქსელის და ვებგვერდის მეშვეობით
- 3) დასაგზავნი ეგზემპლიარების მომზადება და დაგზავნა ხდება შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2. ნორმატიული მითითებები

დოკუმენტის შემუშავებისას გათვალისწინებული შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები:

- 1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
- 2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) ნდ №2-010101 - შპს ბუსსს ანრის წესდება;
- 4) ნდ N2-020101 – შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო
- 5) ნდ 2-0201-01- დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა
- 6) საქართველოს შრომის კოდექსი
- 7) შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის შინაგანაწესი
- 8) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“
- 9) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
- 10) საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“
- 11) შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის წესდება
- 12) უსდ-ს და პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტები

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

3.1 წინამდებარე საშტატო განრიგის ტექსტში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები და შემოკლებები:

- 1)
- 2) **დოკუმენტების პერიოდული შემოწმება** - ქმედება რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის განხილვას, რათა განისაზღვროს საჭიროა თუ არა მისი ხელახალი დამტკიცება, გაუქმება;
- 3) **ცვლილებები** - ნორმატიული დოკუმენტის განსაზღვრული ფრაგმენტის დამატება ან გამორიცხვა, მოდიფიკაცია;
- 4) **ხარისხის სამსახური** - ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური
- 5) **ფაკულტეტი** – ბუსსს ანრის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში დამათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას;
- 6) **პროცესი** – საწყისის საბოლოოდ გარდაქმნილი ურთიერთდაკავშირებული ან ურთიერთმოქმედი საქმიანობის სახეობათა ერთობლიობა;
- 7) **რესურსი** - ყველაფერი რაც უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუშაობას (მეცუთვნება პერსონალი, მომსახურება, მოწყობილობები, დროის რესურსები, ტექნოლოგია და მეთოდოლოგია.);
- 8) **ნორმატიული დოკუმენტი (ნდ)** - შესაბამის მატარებელზე განთავსებული ინფორმაცია, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს მოღვაწეობის გარკვეული სფეროსათვის;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების
აკადემიური დატვირთვისა და საათობრივი ანაზღაურების განსაზღვრის წესი**

Academic staff and visiting teachers Academic workload and hourly pay Determination rule


- 9) **თანამდებობრივი ინსტრუქცია** – ნორმატიული დოკუმენტი, რაც განსაზღვრავს მოთხოვნებს კვალიფიკაციისადმი და დაკავებულ თანამდებობრივ მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;
- 10) **პერიოდული შემოწმება** – ქმედება, რაც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
- 11) **სენატი** – შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- 12) **სტუდენტი** – პირი, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და ბუსსს ანრის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ბაკალავრიატის პროგრამის გასავლელად;
- 13) **აკადემიური პერსონალი** – შედგება პროფესორებისაგან (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი), რომლებიც აირჩევიან კონკურსის გზით შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის სენატის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად
- 14) **პროფესორი** –აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- 15) **ასოცირებული პროფესორი** –აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- 16) **ასისტენტ-პროფესორი** –აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;
- 17) **მოწვეული მასწავლებელი** – უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც აირჩევა/ინიშნება სენატის მიერ დადგენილი წესით, კონკურსის გზით და რომელიც უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს (საჭიროების შემთხვევებში შეიძლება გაუძღვეს სალექციო კურსსაც) აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ სასწავლო კურსებზე (საათებზე). მასწავლებლები მოიწვევიან განსაზღვრული საათების ჩასატარებლად მოკლევადიანი კონტრაქტით, საათობრივი ანაზღაურების წესით. მოწვეულმა მასწავლებელმა შეიძლება დაიკავოს მასწავლებლის, ან უფროსი მასწავლებელი პოზიცია განათლების, გამოცდილებისა და დამსახურების შესაბამისად.

3.2 შემოკლებები:

- 1) ბუსსს ანრი- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
- 2) ნდ – ნორმატიული დოკუმენტი;
- 3) ხმს - ხარისხის მართვის სისტემა;
- 4) ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

4. ზოგადი დებულებები

- 1) აკადემიური პერსონალის შემადგენლობას განეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი.
- 2) პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესს.
- 3) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული (შემდეგში - ფაკულტეტი) უფლებამოსილია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის რექტორს წარუდგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის კანდიდატურა, რომლის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.
- 4) მოწვეული მასწავლებლის სტატუსი განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - ა) უფროსი მასწავლებელი - დოქტორის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების
აკადემიური დატვირთვისა და საათობრივი ანაზღაურების განსაზღვრის წესი**

Academic staff and visiting teachers Academic workload and hourly pay Determination rule

ბ) მასწავლებელი - დოქტორის/მაგისტრის/ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის არმქონე პირი.

5. აკადემიურ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა

- 1) ბუსსს ანრიში სალექციო, პრაქტიკული, სემინარული და ლაბორატორიული სამუშაოს ერთი სააუდიტორიო მეცადინეობის ხანგრძლივობა განისაზღვრება 50 წუთით, მეცადინეობებს შორის შუალედი - 10 წუთი.
- 2) ბუსსს ანრიში აკადემიური ჯგუფი შედგება არანაკლებ 20 სტუდენტისგან.
- 3) განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა რაოდენობა არ იძლევა ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ჯგუფების გადანაწილების საშუალებას, შესაძლებელია დაწესდეს გამონაკლისი დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე რექტორის მიერ.

6. ბუსსს ანრის აკადემიური პერსონალის დატვირთვა

- 1) აკადემიური პერსონალის დატვირთვა განისაზღვრება:
 - ა) აუდიტორიებში, ლაბორატორიებსა და ტრენაჟერულ დარბაზებში ჩასატერებელი მეცადინეობებზე დათმობილი (სააუდიტორო-საკონტაქტო) საათებისაგან;
 - ბ) წინასაგამოცდო კონსულტაციებზე დათმობილი საათებისაგან;
- 2) აკადემიური პერსონალის ვალდებულება, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნორმისა, მოიცავს:
 - ა) საგამოცდო საკითხებისა და ბილეთების შედგენას, რეგულარულ განახლებას;
 - ბ) სტუდენტთა შეფასების პროცესში მონაწილეობას და საგამოცდო ნაშრომების გასწორებას;
 - გ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმოებას;
 - დ) სამეცნიერო და სხვა სახის კონფერენციებში, სემინარებში და სიმპოზიუმებში მონაწილეობას;
 - ე) სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობას;
 - ვ) სტუდენტთა სასწავლო რესურსების მომზადებას და ბიბლიოთეკაში განთავსებას; ზ) აკადემიური ჯგუფის კურატორობას;
 - თ) ბუსსს ანრის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობას;
 - ი) ბუსსს ანრის წესდებით, შინაგანაწესითა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.

7. სააუდიტორიო საათების ხანგრძლივობა და ანაზღაურების წესი

- 1) სააუდიტორიო საათების ხანგრძლივობა ბუსსს ანრიში სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 30 კვირას.
- 2) აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო დატვირთვა ერთ სრულ განაკვეთზე სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 350 საათს.
- 3) აკადემიური პერსონალის სააუდიტორიო დატვირთვა ნახევარ განაკვეთზე სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 175 საათს.
- 4) აკადემიურ და მოწვეულ მასწავლებელთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრის



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების
აკადემიური დატვირთვისა და საათობრივი ანაზღაურების განსაზღვრის წესი**

Academic staff and visiting teachers Academic workload and hourly pay Determination rule

შემდეგნაირად:

- ა) ერთ სრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის ბუსსს ანრიში ყოფნის სამუშაო დრო განისაზღვრება ყოველ სამუშაო დღეს არანაკლებ 6 საათისა.
- ბ) ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის ბუსსს ანრიში ყოფნის სამუშაო დრო განისაზღვრება ყოველ სამუშაო დღეს არანაკლებ 4 საათისა.
- გ) მოწვეული მასწავლებლის ბუსსს ანრიში ყოფნის სამუშაო დრო განისაზღვრება საათობრივი დატვირთვისა და სასწავლო ცხრილის მიხედვით.
- 5) აკადემიურ პერსონალს, რომელიც იმავდროულად დასაქმებულია ბუსსს ანრის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, აქვს უფლება აიღოს არაუმეტეს აკადემიური თანამდებობის შესაბამისი სრული აკადემიური დატვირთვა.
- 6) ბუსსს ანრის დამხმარე პერსონალი, რომელსაც თავისი კომპეტენციით შეუძლია წაიყვანოს სასწავლო კურსი, უფლებამოსილია ისარგებლოს აკადემიური დატვირთვით, რომელიც არ აღემატება კვირაში 15 საათს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
- 7) თუ აკადემიური პერსონალის მოწვევა აუცილებელი ხდება დამატებით საათებზე, აკადემიური პერსონალის დამატებითი დატვირთვის ოდენობა განისაზღვრება დატვირთვის ნახევრით, კერძოდ:
 - ა) სრული ერთეულით განსაზღვრული დატვირთვის შემთხვევაში - 175 საათით;
 - ბ) ნახევარი ერთეულით განსაზღვრული დატვირთვის შემთხვევაში - 90 საათით.
- 8) აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვის ანაზღაურების ოდენობა 1 აკადემიურ საათზე განისაზღვროს გენერალური დირექტორის №175 (03.10.2019 წ.) ბრძანების შესაბამისად:
 - ა) აფილირებული აკადემიური პერსონალის (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ პროფესორი) – 15 ლარი;
 - ბ) აკადემიური პერსონალის, შორეული ნაოსნობის კაპიტნები და უფროსი მექანიკოსები - 13 ლარი;
 - გ) მასწავლებლისათვის – 11 ლარი;
 - დ) დამწყები მასწავლებელი - 9 ლარი;
- 9) აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის შეზღუდვა არ ვრცელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვაზე.

8. აკადემიური პერსონალის მიერ გაცდენილი საათების აღდგენისა და ანაზღაურების წესი

- 1) გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტისა, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების მიერ აკადემიური დატვირთვით განსაზღვრული საათების გაცდენის შემთხვევაში მოხდება გაცდენილი საათების ანაზღაურების დაქვითვა აკადემიური დატვირთვით განსაზღვრული საათების ანაზღაურების პროპორციულად, შინაგანაწესის შესაბამისად.
- 2) აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები ვალდებული არიან წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობის ფარგლებში, დაუყოვნებლივ სიტყვიერად (ტელეფონით) გონივრულ ვადებში ფაკულტეტის დეკანს წარუდგინოს განცხადება სამსახურში არყოფნის სავარაუდო პერიოდის შესახებ სათანადო მიზეზის აღნიშვნით.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების
აკადემიური დატვირთვისა და საათობრივი ანაზღაურების განსაზღვრის წესი

Academic staff and visiting teachers Academic workload and hourly pay Determination rule

- 3) დეკანი აღნიშნული შეტყობინების მიღებისთანავე ავალებს შესაბამისი სასწავლო მიმართულების უფროსს, რათა არაუგვიანეს 2 (ორი) დღის განმავლობაში შეიმუშაოს მისი ჩანაცვლების/აღდგენის მექანიზმი.
- 4) წინასწარ ცნობილი მიზეზის გარეშე სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაბამისი სასწავლო მიმართულების უფროსი შეიმუშავებს გაცდენილი საათების აღდგენის გრაფიკს და წარუდგენს დეკანსა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახურს.
- 5) გაცდენილი აკადემიური საათები უნდა აღდგეს დეკანის მიერ დადგენილ გონივრულ ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირისა.

9. კონტროლი წესის შესრულებაზე

კონტროლი წესის შესრულებაზე დაევალოს სასწავლებლის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტს.

10. კონფიდენციალობა

წინამდებარე წესი წარმოადგენს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების
აკადემიური დატვირთვისა და საათობრივი ანაზღაურების განსაზღვრის წესი**

Academic staff and visiting teachers Academic workload and hourly pay Determination rule

13. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

**აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების
აკადემიური დატვირთვისა და საათობრივი ანაზღაურების განსაზღვრის წესი**

Academic staff and visiting teachers Academic workload and hourly pay Determination rule

ნდ N-2-0401-16

1.2 შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი გურამ ქათამაძე
პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი თემურ დევაძე
მთავარი ბუღალტერი სოფიკო მამულაძე

1.3 შემსრულებელი _____ \ _____ \
 _____ \ _____ \
 _____ \ _____ \

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

№	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების დრო	შენიშვნა
1	რექტორი რუსლან დიასამიძე				
2	ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე				
3	განათლების ხარისხის სპეციალისტი ლია ფარტენაძე				

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა _____
 ხელმოწერა გვარი, სახელი თარიღი